მოწყობილობის დანიშნულება

თმის უთო განკუთვნილია თმის დასახვევად, გასასწორებლად და მისი დავარცხნა-სტაილინგისთვის.

უსაფრთხოების ზომები

- მოწყობილობის კვების წყაროსთან შეერთებამდე დარწმუნდით, რომ ადგილობრივი ელექტროქსელის ძაბვა შეესაბამება მის ტექნიკურ მახასიათებლებს.
- არ გამოიყენოთ მოწყობილობა წყლის წყაროების უშუალო სიახლოვეს. არასოდეს მოათავსოთ მოწყობილობა წყლის ჭავლის ქვეშ და არ ჩადოთ იგი წყალში. წყალთან სიახლოვე წარმოადგენს რისკს მაშინაც კი, როდესაც მოწყობილობა გამორთულია.
- გამოყენების დასრულებისთანავე, ისევე როგორც გაწმენდის წინ, გამორთეთ მოწყობილობა ელექტროქსელიდან. მოწყობილობა ქსელიდან გამორთეთ მხოლოდ იზოლირებული ელ. ჩანგლის მეშვეობით, ნუ დაქაჩავთ თავად კაბელს.
- არ დაქაჩოთ და არ გადააადგილოთ მოწყობილობა კაბელით. არ მოხაროთ და არ დაახვიოთ კაბელი მოწყობილობის გარშემო. ასევე არ დაუშვათ კვების კაბელის გადაკიდება ავეჯის ბასრ კიდეებზე ან მისი შეხება ცხელ ზედაპირებთან.
- არ ჩართოთ მოწყობილობა, როდესაც მისი ფირფიტები ერთმანეთ ედება
- ჩართვამდე აუცილებლად გახსენით ისინი.
- არ დატოვოთ ქსელში ჩართული მოწყობილობა უმეთვალყურეოდ.
- სანამ მოწყობილობას შესანახ ადგილას მოათავსებთ, აცალეთ მას გაგრილება.
- ჯერ კიდევ ცხელი მოწყობილობა განათავსეთ მხოლოდ თერმომდგრად, მდგრად და ბრტყელ ზედაპირზე. მოარიდეთ იგი ადვილად აალებად საგნებსა და მასალებს.
- არასოდეს დააფაროთ (მაგალითად, პირსახოცი ან ტანსაცმელი) ცხელ მოწყობილობას.
- გამოიჩინეთ სიფრთხილე მოწყობილობის გამოყენებისას, რადგან ფირფიტები ძლიერად ცხელდება. დაიჭირეთ მოწყობილობა მხოლოდ სახელურით და მოერიდეთ ცხელი ნაწილების კანთან კონტაქტს.
- გაუმართაობის შემთხვევაში დაუყოვნებლივ გამორთეთ მოწყობილობა ელექტროქსელიდან. არ ჩართოთ მოწყობილობა ხილული დაზიანებების არსებობისას, აგრეთვე კვების კაბელის ან ჩანგლის დაზიანების შემთხვევაში.
- ელექტროშოკის თავიდან ასაცილებლად და საგარანტიო მომსახურების უფლების შესანარჩუნებლად, არასოდეს დაშალოთ მოწყობილობა დამოუკიდებლად. მოცემული მოწყობილობა არ შეიცავს ელემენტებს, რომელთა მომსახურებაც შესაძლებელია მომხმარებლის მიერ. რემონტისთვის მიმართეთ ავტორიზებულ სერვის-ცენტრს.
- მოწყობილობა არ არის განკუთვნილი ბავშვებისათვის, აგრეთვე შეზღუდული ფიზიკური, სენსორული ან გონებრივი შესაძლებლობების მქონე პირთათვის გამოსაყენებლად, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მათზე ხორციელდება კონტროლი მათი უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირების მიერ. არ მისცეთ ბავშვებს მოწყობილობით თამაშის უფლება.
- მოწყობილობა არ არის განკუთვნილი კომერციული მიზნებისთვის გამოსაყენებლად.